ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 72

ქ. ვანი

28.04. 2022 წელი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ვანის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გოჩა ჭუბაბრიას სახით და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება, წარმოდგენილი დირექტორის კონსტანტინე ქარქაშაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის სპექტაკლის ,,მახინჯი იხვის ჭუჭული" ორგანიზების მომსახურების შესყიდვა.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება 1600,00 (ერთიათას ექვსასი) ლარი. CPV92312000

2. მომსახურების ვადები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2022 წლის 29 აპრილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

3.2 მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

ბ) ,,მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

3.4 მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო დოკუმენტაციის, წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს სამუშაოს შემსრულებელი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეებ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 მაისის ჩათვლით

შემსყიდველი ვანის მუნიციპალიტეტის მერია ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65 ს/კ 229653256 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ TRESGE22 ----------	მიმწოდებელი სსიპ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება ქ. თბილისი , აღმაშენებლის 136 ს/კ 202492668 სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 ----------
გოჩა ჭუბაბრია	კონსტანტინე ქარქაშაძე

Self Governing Unit Vani Municipality
Digitally signed by Self Governing Unit Vani Municipality
Date: 2022.04.28 17:33:00 +04'00'

Konstantine Karkashadze 41001001725
Digitally signed by Konstantine Karkashadze
Date: 2022.04.28 17:42:24